MES 5 21 0000651410

30/06/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2021 წლის17 ივნისს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)
დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).
თამარ ვეფხვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;
ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
გოდერძი ბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;
ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;
ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;
ბორის ლეჟავა - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში,
მორის შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის „კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის“ სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
მარინა ქორიძე - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სსიპ ბათუმის შოთა

რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი;
ლელასალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი.

ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები
თამარ ვალიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ამავე დეპარტამენტის პროფესორი;
ლელა მასხულია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრის ექიმი;
ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
ირმა ბურდულაძე - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის ლიცენზირებისა და აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ეკატერინე ადამია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;
ნინო ნანავა - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

სსიპ- განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი გიორგიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
სანდრო ტაბატაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო გულიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტი

1. კონსტანტინე თოფურია - რექტორი
2. სოსო გოგილიძე - ხარისხის სამსახურის უფროსი
3. ქეთევან გეგიაძე - საერთაშორისო აკრედიტაციების განყოფილების უფროსი
4. ჯონი მწარიაშვილი - ავტორიზაციის განყოფილების უფროსი
5. არჩილ ჯანგირაშვილი - აკრედიტაციის განყოფილების უფროსი
6. ზვიად გაბისონია - სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი
7. დავით სივსივაძე - პრორექტორი იურიდიულ საკითხებში
8. ნანა უბილავა - ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

1. დავით რაზმაძე - პოლკოვნიკი, რექტორის მოადგილე
2. მარიამ ღამბაშიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. თამარ რემიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი
4. ჯიმი კეკელაშვილი - შტაბის G3/G2 სამსახურის სასწავლო პროცესის მართვის სამოქალაქო მიმართულების განყოფილების უფროსი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
თეა გერგედავა
ნიკოლოზ ყაველაშვილი
ნანი ყავლაშვილი
ვახტანგ თებიძე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· **არა**
დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

1. **შპს საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ
საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის არყოფნის გამო, ავტორიზაციის საბჭოს გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, მიშელ ვერას წერილის. მოცემულ წერილში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2021 წლის აპრილის დასასრულს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თხოვნის საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შპს საქართველოს უნივერსიტეტი და საბოლოო დასკვნა წარადგინა 2021 წლის 8 ივნისს და დოკუმენტში უნივერსიტეტის პოზიცია მხედველობაში იყო მიღებული, თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პოზიციები განსხვავებულ მოსაზრებებს ასახავდნენ და არა ფაქტობრივ შეცდომებს. მისი თქმით, საქართველოს უნივერსიტეტმა წარმოადგინა საკმაოდ აღწერილობითი დოკუმენტი, რაც, სრულად არ ფარავდა 2014-2020 წლების პერიოდს. როგორც ინტერვიუების შედეგად, გაირკვა საქართველოს უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ ამბიციური გეგმები, მათ შორის საერთაშორისო მიმართულებითაც. უნივერსიტეტი შეფასდა ბევრი საუკეთესო პრაქტიკით, მაგრამ რამდენიმე მიმართულებით საჭიროა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა შეუსაბამობები, ერთი მხრივ, მთავარი მმართველი რგოლისა და, მეორე მხრივ, დაინტერესებული მხარეების აღქმებს შორის უნივერსიტეტთან დაკავშირებით; ერთი მხრივ, წარმოდგენილ ფაქტებსა და მეორე მხრივ, არსებულ რეალობას შორის; ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პირელი სტანდარტი მისია და სტრატეგიული გეგმა, სრულად ვერ იქნებოდა შესაბამისი მოთხოვნებთან. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფში მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი პერსპექტივების მქონე ექსპერტები და ოთხი მათგანი უფრო კონკრეტულად დაინტერესდა, სამედიცინო განათლების პროგრამით, ვინაიდან სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი არის სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის წევრი. შესაძლოა, მისი თქმით, ეს გარემოება იყო მიზეზი კრიტიკული შეხედულებებისა, რისთვისაც, საქართველოს უნივერსიტეტი მზად არ იყო. თუმცა, დაწესებულებას შეეძლო გამოეყენებინა რეკომენდაციები და რჩევები, რაც, პასუხობდა კითხვას, თუ რა უნდა გაუმჯობესებულიყო და არა იმას, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს, ვინაიდან მისი განხორციელება და თავისებურებები მხოლოდ და მხოლოდ უნივერსიტეტის პრეროგატივა იყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე აღნიშნავდა, რომ სამწუხაროა ვიზიტის არა პირისპირ, არამედ ონლაინ ფორმატში წარმოება, ვინაიდან, პირისპირი კონტაქტი, მისი აზრით, მოსაზრებებისა და საუკეთესო გამოცდილებების გაზიარებას უკეთესად შეუწყობდა ხელს. მან აღნიშნა, რომ ტექნოლოგიების გამოყენებით, ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, კოლეგებთან, სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიაში აქტიურად იყო ჩართული და ისინი იღბლიანები არიან, რადგან საერთო ინტერესი ხარისხის განვითარება პანდემიის პერიოდშიც კი გრძელდება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ასევე, აღნიშნავს, რომ როდესაც საქართველოს უნივერსიტეტმა დაასრულა მუშაობა თვითშეფასების ანგარიშსა და მის დანართებზე, სწორედ ამ დროს შეიქმნა მოცემული ვიზიტისთვის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, მსგავსი გამოცდილებებისა და ექსპერტული ცოდნის მქონე ადამიანთა ერთობა, რომელმაც 20-ზე მეტ სესიაში 100-მდე ადამიანთან ღია დიალოგი და დისკუსია შეძლო. ის აღნიშნავს, რომ ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს და კრიტიკული მეგობრის თვალით, რამდენიმე პრობლემა დაინახა. როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარე აღნიშნავს, პრობლემურია თვითშეფასების ანგარიშისა და SWOT ანალიზის საკმაოდ აღწერილობითი ხასიათი და მნიშვნელოვანი იყო, რომ მომავალში უნივერსიტეტი ყოფილიყო მეტად თვითკრიტიკული და ღია განვითარების პერსპექტივებისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ მთავარია არა მხოლოდ მენეჯმენტის ნდობა, არამედ ნდობა საკუთარი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტი ფოკუსირებული იყო ხარისხის კონტროლზე, ინფრასტრუქტურაზე, საერთაშორისო ურთიერთობებსა და მარკეტინგზე და ცხადი იყო, რომ ექსპერტთა ჯგუფი აცნობიერებდა ამ მიმართულებების მნიშვნელობას მენეჯერული პოზიციიდან გამომდინარე. ამდენად, მათ ჩამოაყალიბეს ამ დეპარტამენტების მიერ გაწეული დადებითი ნაბიჯები. მან აღნიშნა, რომ პერსონალი და სტუდენტები წარმატებით იყვნენ ჩართულნი სწავლებისა და სწავლის საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ასევე, მისი თქმით, პერსონალი საკმაოდ მოტივირებული იყო კარგი განათლების გადაცემისკენ, მიზანმიმართული და კარგი მიმწოდებელი იყო, რაც, ძალიან კარგი მიღწევად ჩაითვალა. მისი თქმით, როგორც კერძო უნივერსიტეტი, ის მყარადა იყო ჩამოყალიბებული და ჰქონდა სასურველი ურთიერთობები დაინტერესებულ მხარეებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. თანამშრომლობა უმაღლესი განათლების მიმართულებით იყო საკვანძო მნიშვნელობის მქონე, მათ შორის კვლევის ნაწილში, რადგან საერთაშორისო გუნდისგან ბევრის სწავლა შეიძლებოდა. მისი შეფასებით, მოქმედი ფინანსური სიტუაცია მდგრადი იყო და მონაცემები აჩვენებდა, რომ ეს ასე გაგრძელდებოდა. სიტუაცია ასევე იძლეოდა ინვესტიციების გაზრდის საშუალებას და გეგმებს სტუდენტური საცხოვრებლის იდეის რეალიზაციისთვის. ვიზიტის დროს, გამოჩნდა მიმზიდველი და ფუნქციური მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გასაუმჯობესებელი მხარეებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან დაკავშირებული საკითხები. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი მხარს უჭერდა კვლევაში უნივერსიტეტის სამომავლო ინვესტიციებს, თუმცა, აუცილებლად აღსანიშნავი იყო, რომ ყველა სტუდენტი აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩართული კვლევით პროცესში. და ყველა ნიშნავდა, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ყველა სტუდენტს და არ ნიშნავდა მხოლოდ კლასგარეშე ან ნებაყოფლობით ჩართულობას. ვინაიდან არ არსებობდა უმაღლესი განათლება კვლევის გარეშე. მისი თქმით. კვლევა ბოლონიის პროცესისა და ევროპული ჩარჩოს განუყოფელი ნაწილი იყო. ამდენად, ყველა ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამას უნდა შეევსო კვლევის ხაზი პროგრამის განმავლობაში, რაც, სულ მცირე უნდა იწყებოდეს კვლევის მეთოდოლოგიის სწავლებით საწყის საფეხურებზე. ბევრ შემთხვევაში, მისი თქმით, აღმოჩნდა შეუსაბამობები სტუდენტების კვლევით პროცესში ჩართულობაში, რაც, საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიურ ამბიციებს არ შეესაბამებოდა. მისი შეფასებით, მეორე პრობლემური საკითხი უკავშირდებოდა პერსონალის განვითარებას დიდაქტიკური უნარების თვალსაზრისით. მისი თქმით, გასაგები

იყო, რომ არსებობდა აქტივობები, რაც, აკადემიურ პერსონალს ასწავლიდა ისეთი ცნებების შესახებ, როგორებიცა იყო სტუდენტზე-ორიენტირებული სწავლება და პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, მაგრამ მეტად სტრუქტურულ მიდგომას საჭიროებდა. ამდენად, ისინი დაწესებულებას სთავაზობდნენ შეექმნა განცალკევებული და სავალდებულო ტრენინგ-პროგრამა, რაც, დაფარავდა ყველა დისციპლინასა და სპეციფიკურ საჭიროებებს. ვინაიდან გაჟღერებულ სწავლის შედეგებს, სწავლება-სწავლის გარემოსა და სტუდენტის შეფასებას შორის სტრუქტურული კავშირი იყო ასეთი ტრენინგ-პროგრამის არსებითი პრინციპი. მისი თქმით, კვალიფიციური პერსონალი, მათ შორის განათლების თვალსაზრისით, დაეხმარებოდა საგანმანათლებლო ცნებების მოდერნიზაციას და საკვანძო სიტყვებია: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, მოქნილობა, მათ შორის არჩევით საგნებთან დაკავშირებით და მულტიდისციპლინური სასწავლო კურსები. მისი თქმით, საუნივერსიტეტო ამბიციების შესაბამისად, არსებითი იყო უმაღლესი განათლების საბოლოო მიღწევებისთვის ფეხის აწყობა. ეს დაგეხმარებოდა საბჭოს მის მიერ დეკლარირებულ, მაღალი ხარისხის განათლებას, როგორც მიზანს შეეწყობოდა ხელი. მან აღნიშნა, რომ ნაკლოვანია, მმართველობით ორგანოებსა და კომიტეტებში სტუდენტთა ფორმალური წარმომადგენლობა საუნივერსიტეტო, სკოლებისა და პროგრამების დონეებზე და, რომ საინტერესო იქნებოდა, სტუდენტები ყოფილიყვნენ საგანმანათლებლო პროგრამის წევრები, რათა მათი წვლილი და გავლენა გარანტირებული ყოფილიყო, რადგან სტუდენტის ხმა იყო განათლების ხარისხის განვითარებისა და ხარისხის კულტურის გარანტია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, აუცილებელია აღნიშნულიყო, რომ ხარისხის კულტურა არ იყო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ხარისხის კონტროლი, ხარისხის მექანიზმი, ხარისხის შემოწმება და დოკუმენტები, რაც, ამ ყველაფერს ასახავდა. არამედ, მისი ხედვით, ეს იყო, საზიარო ხედვა იმის შესახებ, თუ რას ფიქრობდა საბჭო, მისი კოლეგები და სტუდენტები - რა იყო ხარისხი. მისი აზრით, დაწესებულებას უნდა გადაეაზრებინა ეს ცნება. ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მოქმედი მმართველობა „ზემოდან-ქვემოთ“ პრინციპს ეფუძნება მმართველობის ამ სტილს მოჰოქნდა ის უპირატესობა, რომ მიზნები იყო განსაზღვრული, თუმცა შეიძლებოდა შეესუსტებინა შემოქმედებითობა და ახალი განვითარებები. ეფექტიანი ლიდერობა დამტკიცებულია უფრო დაბალანსებული მიდგომით, რასაც, „ქვემოდან-ზემოთ“ მიდგომას გულისხმობდა. მსგავსად, მისი ხედვით, ყველა ორგანიზაციას სჭირდებოდა შეკავება-გაწონასწორების ძირეული პრინციპი, რაც, კერძო უნივერსიტეტების კარგი მმართველობის ინდიკატორიც იყო.

ექსპერტმა, თეა გერგედავამ, აღნიშნა, რომ ვიზიტი ჩატარდა თანამშრომლობით და სასიამოვნო გარემოში, სამდღიანი პროცესის განმავლობაში გრძნობდა, რომ დაწესებულება დაინტერესებული იყო ამ პროცესის საბოლოო შედეგით, რა შეიძლებოდა გაუმჯობესებულიყო.

ექსპერტმა, ნიკოლოზ ყაველაშვილმა, აღნიშნა, რომ დისტანციური მუშაობა გაცილებით რთული იყო, ვიდრე პირისპირ ჩატარებული ვიზიტი, თუმცა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ექსპერტებმა ადგილზე დაათვალიერეს, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. იგი დაეთანხმა ექსპერტს, თეა გერგედავას, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს სურდათ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების მოსმენა, ასევე, უზიარებდნენ უნივერსიტეტში არსებულ მდგომარეობას, რამაც დადებითი შთაბეჭდილება დატოვა ექსპერტთა ჯგუფის წევრებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების რექტორი, კონსტანტინე თოფურია, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი პანდემიის გამო ჩატარდა მენეჯმენტის მხრივ რთულ პირობებში. მას სურდა დაეფიქსირებინა ფაქტორი, რომელსაც მათ შემთხვევაში მიეცა განმეორებადი ხასიათი და ფიქრობდა, რომ სხვა უნივერსიტეტებშიც ხდებოდა ასეთი რამ, დაწესებულებას ჰქონდა

შემთხვევები, ძირითადად უცხოელ ექსპერტებთან, რომ მათი დასკვნები არ იყო სათანადოდ დასაბუთებული, და შემდეგ უარს ამბობდნენ სხდომაზე დასწრებაზე, შემდეგ ქართველ ექსპერტებს უწევდათ ხოლმე თავის მართლება, სადაც მნიშვნელოვანი წვლილი არ მიუძღოდათ, ასევე, ჰქონდათ შემთხვევა, როდესაც ქართველმა ექსპერტებმაც თქვეს უარი სხდომაზე დასწრებაზე, რაც ზოგადად ცუდი პრეცედენტი იყო, რადგან თუკი ექსპერტმა აიღო პასუხისმგებლობა, იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო საბჭოს სხდომაზე, მათ ჰქონდათ კოტე ფიცხელაურის შემთხვევა, როდესაც იგი ერთი წელი არ ცხადდებოდა სხდომაზე და უნივერსიტეტი ვერ ახერხებდა პროგრამის აკრედიტაციას, რადგან ექსპერტს რცხვენოდა და არ ესწრებოდა სხდომას. მისი მოსაზრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ მომავალში ექსპერტებთან კონტრაქტში ჩადებულიყო, რომ სავალდებულო იყო სხდომაზე გამოცხადება, დისტანციურად მაინც.

მან განმარტა, რომ დასკვნაში ჰქონდათ რეკომენდაციები, რომლებიც ხარვეზებთან დაკავშირებული შენიშვნები იყო, რომელსაც თავაზიანად „რეკომენდაცია“ ერქვა. რეკომენდაცია იყო ისეთი, რომელიც სტანდარტთან მიმართებაში უნდა იყოს და შესაძლებელია დაეწია შეფასება. ამდენად, რეკომენდაციას უნდა ჰქონდეს რამდენიმე მახასიათებელი, უნდა ჩანდეს მისი შესაბამისობა სტანდარტთან. როდესაც დაწესებულების მისამართით გაცემული იყო უამრავი რეკომენდაცია არ იყო ცალსახად გასაგები, თუ რომელ სტანდარტთან მიმართებაში იყო გაცემული. მეორე, ის აუცილებლად ყოფილიყო გაზომვადი, ვინაიდან, როდესაც მომავალში ახალი ექსპერტი შევიდოდა და ნახავდა წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები, რომელიც გარკვეულწილად შესაძლებელი იყო გაუმჯობესებულიყო უნივერსიტეტის მიერ, მაგრამ, რომ გაეგო, რამდენად მოხდა მისი გაუმჯობესება, რამდენად შესრულდა ან არ შესრულდა, უნდა ყოფილიყო მექანიზმები გაზომვისა და შეფასების. რეკომენდაციები უნდა ყოფილიყო არგუმენტირებული, დაწესებულებას ჰქონდა რეკომენდაციები სადაც ეწერა „თუ საჭირო იქნება“, რომლებიც აბსოლუტურადა გაუგებარი იყო, რადგან რეკომენდაციის მიღმა არ არსებობდა არანაირი არგუმენტი. ზემოაღნიშნული სამი მახასიათებელი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ თუ მათ არ აკმაყოფილებდა რეკომენდაცია, მაშინ ის არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო რეკომენდაციად.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყველაფერი რაზეც რექტორი საუბრობდა გადაცემული იყო საბჭოსთვის, და სთხოვა ეპასუხა ექსპერტის დასკვნისთვის და შეფასებები თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამაზე საბჭო და ცენტრი იმსჯელებდა.

დაწესებულების რექტორმა, კონსტანტინე თოფურიამ, პირველ სტანდარტთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა დაწესებულების მისიას, მან განაცხადა, რომ გაწერილი იყო რეკომენდაცია „უზრუნველყოფილ იქნას, რომ განათლება და კვლევა უნივერსიტეტის ბირთვს წარმოადგენდეს, როგორც ეს მსოფლიოს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშია“, რაც არ აკმაყოფილებდა არც ერთ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმს, მისთვის გაუგებარი იტო რეკომენდაციის არსი, რადგან ექსპერტი იწუნებდა მისიას, რადგან ექსპერტი არ იყო დარწმუნებული, რომ უნივერსიტეტის ბირთვი არ იყო კვლევა და განათლება, მისთვის გაუგებარი იყო, რადგან საქართველოს უნივერსიტეტის მისია იწყებოდა შემდეგნაირად: „საქართველოს უნივერსიტეტის მისიაა ახალი ცოდნის შექმნა და პიროვნების განათლება“ შემდეგ აღნიშნული თემები გაშლილი იყო, თუ რას გულისხმობდნენ განათლებაში, გაწერილი იყო ხედვებში, სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც სამი ნაწილისგან შედგებოდა, ერთი ნაწილი იყო საგანმანათლებლო მიზნების, სამეცნიერო და ინსტიტუციური, შესაბამისად სტრატეგიულ გეგმაში მინიმუმ 2/3 მიზნებისა და ამოცანების ეთმობოდა სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნებს. ამდენად, გაუგებარი იყო თუ რას გულისხმობდა ექსპერტი, როდესაც წერდა, რომ მისიაში უზრუნველყოფილ უნდა ყოფილიყო, რო განათლება და კვლევა უნივერსიტეტის ბირთვს წარმოადგენდა. ყველა იმ სტანდარტს, რაც პირველი სტანდარტით იყო განსაზღვრული, თუ რა უნდა ყოფილიყო გაცხადებული მისიაში, დაწესებულების როლი, რომ უნდა გაეთვალისწინებინა საქართველოსა და ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო პრიორიტეტები, უზრუნველეყო დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადება

და ა.შ. ყველა ამ სტანდარტსა და ქვესტანდარტს ითვალისწინებდა მათი მისია, რაც არგუმენტირებულ პოზიციაშიც დაწვრილებით ჰქონდათ გაწერილი, მათ შორის თვითშეფასებაშიც იყო წარმოდგენილი. ექსპერტთა დაკვნაში წარადგენდნენ თითოეულ ამ სტანდარტთან მიმართებაში საქართველოს უნივერსიტეტის მისიის თავსებადობას, თუმცა ასევე ჩამოაყალიბეს რეკომენდაციები, რომელიც არც ერთ სტანდარტს არ ეხებოდა და რაც წევდა შეფასებას.

მეორე რეკომენდაცია იყო „სათანადო ყურადღება დაეთმოს ხარისხის კულტურას, ყველა სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და ინტერნაციონალიზაციას, მისიის განაცხადისა და შესაბამისი პოლიტიკების გადახედვისას ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად“, რაც შეეხება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, მისი აზრით, მისიაში ნახსენები იყო არა სტუდენტი და არა ადამიანი, არამედ პიროვნების განათლება, რადგან განსხვავებით ადამიანისა, ადამიანის უფლებები ყველა ადამიანში ერთნაირად ითვლებოდა, პიროვნება კი განსაკუთრებული იყო, როდესაც საუბრობდნენ პიროვნების განათლებაზე სწორედაც ამიტომ გამოიყენეს ტერმინი „პიროვნება“, რომ ინდივიდუალიზებულ განათლებაზე ყოფილიყო გარკვეული მინიშნება. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას, მისი ხედვით, მთელი მათი სტრატეგიული გეგმა იყო ინტერნაციონალიზაციით გაჟღენთილი, ასევე, როგორც მთავარი პრიორიტეტი ნახსენებია მათ ხედვაში, იყო მათი მიზანი და ქვემიზანში ჩაშლილი ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა მიმართულებები, ისინი საქართველოს უნივერსიტეტი იყო ერთ-ერთი ყველაზე მრავალი საერთაშორისო სტუდენტის მქონე დაწესებულება, სამედიცინო უნივერსიტეტის შემდეგ, ჰყავდათ საერთაშორისო პროფესურა, იყვნენ სხვადასხვა მიმართულებით ჩართულნი საერთაშორისო კოლაბორაციაში და 2 ივლისს უნივერსიტეტი უნდა გამხდარიყო ცერნის კოლაბორანტი და ა.შ. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის განხილვისას ყველა დარწმუნდებოდა, რომ უნივერსიტეტისთვის ინტერნაციონალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იყო. ექსპერტთა ჯგუფის ტექსტურ განმარტებაში ეწერა, რომ ინტერნაციონალიზაცია იყო ხედვაში, მიზნებში, სტრატეგიულ გეგმაში და უფრო მეტიც, როდესაც გააჩნდა დამატებითი დოკუმენტი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის პოლიტიკის შესახებ, მაგრამ არ იყო ნახსენები მისიაში, რომ უნივერსიტეტის მიზანი იყო ინტერნაციონალიზაცია, მისი მოსაზრებით აუცილებელი იყო, მისიისა და სტრატეგიული გეგმის/მიზნების გამიჯვნა. მისია ესა იყო განაცხადი, სადაც ჩანდა უნივერსიტეტის არსებობის მიზეზი, თუ რატომ არსებობს ესა თუ ის ორგანიზაცია, მისიაში ეწერათ, რომ საქართველოს უნივერსიტეტი არსებობდა, რადგან შეექმნა ახალი ცოდნა, მოეხდინა პიროვნების განათლება, დემოკრატიული საზოგადების განვითარებაში შეეტანა წვლილი და ა.შ. ინტერნაციონალიზაცია არ იყო უნივერსიტეტის მისია, ის არ შექმნილა, რათა განეხორციელებინა ინტერნაციონალიზაცია, არამედ ეს იყო გზა და საშუალება, რომლითაც უნივერსიტეტი ახდენდა თავისი მისიის სტაბილურად შესრულების უზრუნველყოფას, ანუ ინტერნაციონალიზაცია იყო მათი მისიის სტაბილურად შესრულების საშუალება და არა თავად მისია, შესაბამისად შეუძლებელი იყო ინტერნაციონალიზაციის ჩადება მისიაში, უნივერსიტეტის მისია იყო სტუდენტის განათლება, ახალი ცოდნის შექმნა, დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებაში მონაწილეობის მიღება, ეს იყო უნივერსიტეტის მისია, რისთვისაც შეიქმნა, თუ ამისთვის კარგი იყო ინტერნაციონალიზაცია და დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით ეს ასე იყო, ამ შემთხვევაში ახორციელებდნენ ინტერნაციონალიზაციას, თუ ამისთვის კარგი იქნებოდა ინფრასტუქტურის განვითარება და ეს შეიძლებოდა ასე ყოფილიყო ამასაც გააკეთებდნენ, მაგრამ შეუძლებელია ითქვას, რომ უნივერისტეტის მისია იყო ინფრასტრუქტურის განვითარება, ეს შესაძლებელია მისი მიზანი ყოფილიყო, ინტერნაციონალიზაცია იყო დაწესებულების სტრატეგიული ორიენტირი, ამიტომ, ისინი ეწინააღმდეგებიან, რომ ის იყოს მისიის განაცხადში, თუმცა ეს გაწერილი იყო მათი ხედვის განაცხადში, სადაც მოხსენიებულია, როგორც სტრატეგიული ორიენტირი, რომ

დაწესებულება ყოფილიყო ინტერნაციონალიზებული ორგანიზაცია, როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისა,, ასევე მომხდარიყო კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცი და ეს ყველაფერი გაწერილი იყო მათ ხედვაში.
მან აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ეწინააღმდეგებოდა მის აზრს იყო თუ არა ინტერნაციონალიზაციის ადგილი მისიაში, მიუხედავად ამისა იგი არ იყო სტანდარტით მოთხოვნილი, რომელიც არც საქართველოს და არც ევროპის სტანდარტით არ იყო მისიის მოთხოვნა. მისი ხედვით საქართველოს უნივერსიტეტი აკმაყოფილებდა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
მან განაცხადა, რომ მესამე რეკომენდაცია იყო „ფორმალიზებული გახდეს მისიისა და ხედვის განახლების ციკლი და უზრუნველყოფილ იქნას სხვადასხვა რედაქციის ხელმისაწვდომობა და გამოქვეყნების ისტორია“. მან აღნიშნა, რომ ისედაც ფორმალიზებული იყო ეს მექანიზმი და ძალიან დეტალურად იყო აღწერილი სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიაში, თუ როგორ და ვის მიერ მიმდინარეობდა აღნიშნული პროცესი. მან აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ტექსტურ ნაწილში განმარტეს, რომ კარგი იქნებოდა, რომ ძველი ვერსიები იყოს წარმოდგენილი ვებ-გვერდზე, რაც ნამდვილად სასურველი იყო და შეეძლოთ მისიების რეტროსპექტული ანალიზები გაკეთებულიყო, მაგრამ ეს არც ერთ სტანდარტთან მიმართებაში არ შეიძლებოდა ხარვეზად იყოს ჩათვლილი, რადგან სტანდარტი არ თხოვდა უნივერსიტეტს, რომ მას ჰქონოდა გასაჯაროებული თავისი მისიის ისტორიული ვარიაციები, სხვადასხვა დროს, თუმცა საინტერესო იყო, ზოგადად მათი ყველა მისია 2004 წლიდან, რაც უნივერსიტეტი არსებობდა ხელმისაწვდომი იყო და ექსპერტთა ჯგუფის დაინტერესების შემთხვევაში მიაწვდიდნენ, მეტიც ეს ყველაფერი ფორმალიზებული იყო და ყველა მისია, ყველა სტრატეგიული დოკუმენტაცია იყო დოკუმენტირებული, არსებობდა შესაბამისი შეხვედრის ოქმები, დოკუმენტები იყო დაბეჭდილი და ხელმოწერილი, ეს ყველაფერი იყო ფორმალიზებული უნივერსიტეტში, რადგან სხვანაირად არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მან განმარტა, რომ მისიასთან მიმართებაში არც ერთი რეკომენდაცია არ იყო დაკავშირებული არც ერთ სტანდარტთან. ამიტომ შეუძლებელი იყო აღნიშნული რეკომენდაციების გამო სტანდარტთან მიმართებაში უნივერსიტეტის პერფორმანსი რამენაირად დაქვეითებულიყო.
1.2 კომპონენტთან მიმართებით მან განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია იყო „ახალი სტრატეგია მეტად მკაფიოდ დაუკავშირდეს წინა სტრატეგიას, რათა უკეთესად მოხდეს მიღწეული პროგრესის გააზრება“, მისთვის გაუგებარია, ვინ თქვა, რომ არ იყო დაკავშირებული, ექსპერტებს არაფერი მოუთხოვიათ, ტექსტურ ნაწილში ეწერათ, რომ მათ დახვდათ 2020-2027 წლების სტრატეგიული გეგმა მათ კი აინტერესებდათ 2014-2020 სტრატეგიული გეგმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა დაწესებულების რექტორს, რომ საბჭოს წევრები იყვნენ უმაღლესი განათლების სფეროში მომუშავე პირები, შესაბამისად დაწვრილებითი ახსნა არ იყო საჭირო. სთხოვა წარმოედგინათ მოკლედ და კონკრეტულად.
დაწესებულების რექტორმა, კონსტანტინე თოფურიამ, განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა წინა წლების დოკუმენტები და მოთხოვნის შემთხვევაში შეეძლოთ გადაცემა, ამასთანავე მან აღნიშნა, რომ არსებობდა 2014-2020 სტრატეგიული გეგმებიც, რადგან მანამდეც გაუვლიათ ავტორიზაცია და არსებობს, მათ ჩათვალეს, რომ ვინაიდან საავტორიზაციო მოთხოვნა იყო, რომ უნივერსიტეტს უნდა ჰქონოდა მომდევნო 7 წლის სტრატეგიული გეგმა, ექსპერტებისთვის უნდა წარედგინათ 2020-2027 წლის გეგმები, თუმცა შეეძლოთ წინა წლების დოკუმენტაციის წარდგენაც. ასევე, ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას სთხოვდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას, რომელიც მოიცავდა წლიურ გეგმებს ინტერესის თითოეული სფეროსთვის, მისი მოსაზრებით ეს თარგმნის ხარვეზი იყო, რადგან ექსპერტთა ჯგუფი ითხოვდა „policy paper“, რაც შეიძლება ყოფილიყო განათლებაზე მეცნიერებაზე, ინტერნაციონალიზაციაზე და ყველაფერზე, რაც არ იყო სტანდარტის მოთხოვნა თუმცა საინტერესო იყო, რადგან ასეთი ტიპის პოლიტიკის აღმწერი დოკუმენტები სხვა მარეგულირებელ აქტებში ჰქონდათ, როგორიცაა საბაკალავრო სწავლების დებულება, სამაგისტრო სწავლების დებულება, სადოქტორო სწავლების დებულება, საგანმანათლებლო პროგრამის დებულება,

ინტერნაციონალიზაციის გეგმა და ა.შ. სხვადასხვა დოკუმენტებში იყო გაბნეული. იყო რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას გაეკეთებინა მაღალი ხარისხის განათლება რიდეფინიცია, ტექსტურ ნაწილში ეწერათ, რომ, როგორც მათივე SWOT ანალიზიდან ჩანდა მსოფლიო არ აღიარებდა საქართველოს უნივერსიტეტის მაღალ ხარისხს, დაწესებულებას ძალიან დიდი წარმოდგენა ჰქონდა და ყოფილიყვნენ უფრო რეალისტურები, მისი მოსაზრებით ძალიან ირონიული ფრაზები იყო ჩაწერილი მათი სწავლების ხარისხთან მიმართებით, მან განაცხადა, რომ საერთაშორისო რეიტინგით საქართველოს უნივერსიტეტი იყო მე-4000 ადგილზე, მაგრამ ამ ადგილით იყო მე-5 ადგილზე საქართველოში და ამიერკავკასიაში მე-7 ადგილზე, სადაც 200-მდე უნივერსიტეტი იყო და ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი იყვნენ Top 7-8%-ში, რაც ნიშნავდა იმას, რომ მეტ-ნაკლებად ხარისხიანი განათლება ჰქონდათ და თუ უნივერისტეტს ამოაგდებდნენ და ჩააგდებდნენ ევროკავშირში, რომ ის ხვდებოდა Top 20%-ში, ამიტომ ის ირონიული ფორმა, რომლითაც ექსპერტები მათი განათლების ხარისხზე საუბრობდნენ სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა დაწესებულების წარმომადგენლებისათვის.

გაცემული იყო რეკომენდაცია, SWOT და PEST ანალიზის უკეთ გამოყენებაზე სტრატეგიული დაგეგმარებისას, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ არცერთ სტანდარტში არ ეწერა, რომ SWOT და PEST ანალიზის გამოყენებაზე, თუმცა მათ სტრატეგიულ გეგმაში ეს იყო, თუმცა ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ კავშირი სტრატეგ გეგმასა და SWOT და PEST ანალიზზე იყო ნაკლები და სურდათუ უფრო დიდი ყოფილიყო, სინამდვილეში დაწესებულების წარმომადგენლებს არ ჰქონიათ ამ თემაზე ექსპერტებთან საუბარი, თუმცა მოახერხეს, რომ ყველა ამოცანა და ყველა მიზანი სწორედ აქედან გამომდინარეობდა SWOT და PEST ანალიზებიდან და არც ერთი საფრთხე/სისუსტე რაც განსაზღვრული იყო SWOT ანალიზში არ იყო პასუხგაუცემელი სტრატეგიულ გეგმაში, ანუ ყველა მოსალოდნელ საფრთხესა თუ შესაძლებლობებზე იყო მიზანი/ქვემიზანი და ამოცანა განსაზღვრის სტრატეგიული გეგმით.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ზვიად გაბისონია მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომმათ მიერ გაცემული პასუხები საკმაოდ ამომწურავი და ლოგიკური იყო, შესაბამისად არ ეგონა, რომ ყოფილიყო ბევრი გაუგებარი ნაწილი დარჩებოდა. მან აღნიშნა, რომ კარგად ერკვეოდა მეცნიერების მენეჯმენტის ნაწილში, მათ შორის ევროკავშირის კანონმდებლობაში, მისი მოსაზრებით საკმაოდ პრობლემური იყო უცხოელი ექსპერტების მე-6 სტანდარტთან შესაბამისობის ნაწილი, რადგან პირველი მეცნიერული კამათი რაც წარმოიშვა იყო ის, რომ სამივე კომპონენტის საფეხურზე უნდა ყოფილიყვნენ თუ არა სტუდენტები კვლევით კომპონენტში ჩართულნი, მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია დუბლინის დესკრიპტორმა, ევროკავშირის კანონმდებლობამ და საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების კანონმდებლობამ, ანუ საუბარი იყო, რომ ბაკალავრები უნდა ყოფილიყვნენ თუ არა ჩართულნი კვლევით კომპონენტში, მას არ ეგონა, რომ ამ ნაწილთან დაკავშირებით შეიძლება საჭირო ყოფილიყო ბევრი კამათი, ყველა ბაკალავრი ყველა პროგრამაში უნდა იყოს ჩართული, აუცილებელი იყო, რომ კომპონენტების ნაწილში გაყოფილიყო ექსპერიმენტული, საბუნებისმეტყველო, სოციალური, ჰუმანიტარულის და სხვა, რაც ყველასთვის ცნობილი იყო.

მან განაცხადა, რომ მეორე რეკომენდაცია იყო იმის შესახებ, რომ კარგი იქნებოდა თუ გაიმიჯნებოდა ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის ნაწილი. მისი მოსაზრებით ევროპელმა ექსპერტებმა არასწორი ინტერპრეტაცია გააკეთეს ამ კვლევების ნაწილში, რადგან ქართული კანონმდებლობა, გამოყენებით კვლევებს სხვა ინტერპრეტაციით აღიქვამდა და არა ისე როგორც ამას უცხოელები აღიქვამდნენ, საქართველოს კანონმდებლობის აღქმის მიხედვით ფუნდამენტური კვლევების ნაწილი და გამოყენებითი კვლევების ნაწილი ფუნდამენტური კვლევების დიდ კალათაში ექცეოდა მაშინ, როდესაც ის, რაზეც ევროპელმა ექსპერტებმა მიუთითეს კარგი იქნება თუ გაიმიჯნებოდა, სიამოვნებით აიღებდა ამას ქართული გამოყენებითი კვლევების მეცნიერება, თუმცა ამისთვის მზად არ იყო, რადგან

კომერციალიზაციის ნაწილი საქართველოს რეალობაში ტექნოტრანსფერებთან ერთად, არ მუშაობდა და ძალიან ბევრს მუშაობდნენ/წვალობდნენ იმაზე, რომ გარდაექმნათ აღნიშნულ ნაწილში.
ინტერნაციონალიზაციაზე, მან აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა პრეტენზია, რომ კვლევებისა და მეცნიერების ნაწილში საქართველოს უნივერსიტეტისთვის დიდი წვლილი მიუძღოდა, რამდენიმე თვე იყო, რაც მონაწილეობას იღებდა და აღნიშნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტი იმდენად მაღალ პოზიციაზე იყო კერძო უნივერსიტეტებს შორის და არა მარტო, მათ შორის სამეცნიერო ინფრასტრუქტურის ნაწილზე განმარტა, რომ მარტო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში, რომელიც სათაო კვლევითი ინსტიტუტი იყო და აერთიანებდა სხვა კვლევით ინსტიტუტებს, ლაბორატორიებსა და ცენტრებს უშუალო დაქვემდებარებაში ჰქონდა 4 კვლევითი ინსტიტუტი და 12 იყო Dual დაქვემდებარებაში, რომელიც სკოლის დონეზე იყო და ამავე დროს ანგარიშვალდებული იყო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, საუბარი იყო იმაზე, რომ განსახილველ უნივერსიტეტში იყო ისეთი კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც წლების მანძილზე დაანგრიეს და აფინანსებდა ფუნდამენტური კვლევების ნაწილს და მუშაობდა მასზე, ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ კვლევაზე, რის ერთ-ერთ მაგალითზე რექტორმა ისაუბრა, რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა ცერნში სუბკონტრაქტორის დონეზეც არ იყო არავინ ჩართული და ძალიან ინტენსიურად მუშაობდნენ იმაზე, რომ ცერნის პროექტით ყოფილიყო საქართველო ჩართული და ქართული დროშა ყოფილიყო, ასევე, მათ ასევე კოლაბორაცია ჰქონდათ „NASA-თან“ მიმართებით, მეცნიერების პოპულარიზაციის ნაწილში, მისთვის უცნობია ექსპერტებმა მოახეხეს თუ არა ენახათ, ერთადერთი უნივერსიტეტი იყო არა მხოლოდ რეგიონში, არამედ აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც მარსმავალის ზუსტი ასლი იყო, მისი მოსაზრებით ყველასთვის ცნობილი იყო, რომ მეცნიერების პოპულარიზაცია ქართული მეცნიერების აქილევსის ქუსლი იყო, კვლევებთან ერთად, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ასეთი ტიპის პროექტები მეცნიერების ნაწილში ძალიან ეფექტური ყოფილიყო.
მან საერთო შთაბეჭდილების შესახებ განაცხადა, რომ ისურვებდა და კომპეტენტურ პირებთან საუბარსაც აპირებდა, რათა უცხოელი ექსპერტები სანამ საქართველოში ჩამოვიდოდნენ ზედმიწევნით გაეცნონ კანონმდებლობას, რადგან მისი მოსაზრებით ქართულ კანონმდებლობას არ იცნობდნენ და აქედან გამომდინარე, რეკომენდაციების დიდი ნაწილი ქართული კანონმდებლობის მიღმა იყო, დიდი პატივისცემის მიუხედავად დასძინა, რომ თვითონაც ერკვეოდა ევროკავშირის კანონმდებლობასა და ტექნოლოგიების ნაწილში და არსად, არცერთ კომპონენტში, არც ერთი ევროკავშირის ქვეყანა, ერთადერთი აშშ ცდილობდა, რომ კვლევების ნაწილში დაეფინანსებინა საგრანტო პროექტები ბაკალავრების მონაწილეობით არცერთი სხვა ქვეყანა, არც ასოცირებული და არც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა ბაკალავრიატს კომპონენტის დონეზე არ მიიჩნევდა კვლევაში ჩართულს, თუ საუბარი იყო იმაზე, რომ კანონმდებლობაში მითითებული იყო უმაღლესი განათლების შესახებ კანონში, რომ სწავლის პროცესში ბაკალავრები უნდა ყოფილიყვნენ ჩართულნი ეს ისეთი მაღალი დოზითა ჰქონდათ წარდგენილი, პირდაპირ დანართების სახით გამოაგზავნეს ბაკალავრები ჩართულნი იმ პროექტებში, რომლებსაც კვლევითი კომპონენტები ერქვა, არ ისაუბრებდა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის კვლევით კომპონენტზე, რადგან იქ ამდენი კითხვა არ იყო. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება საკმაოდ ბევრ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამას ახორციელებდა, ფუნდამენტური კვლევების ნაწილზე საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა საგრანტო პროექტები, რასაც ახორციელებდნენ, რაც ძალიან იშვიათი იყო, განსაკუთრებით კერძო უნივერსიტეტების ნაწილში, თუმცა ამ ნაწილში მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, რომ კერძოები აქტიურად იყვნენ ჩართულნი.
მან განაცხადა, რომ ბოლო კითხვა ეხებოდა კვლევითი ინსტიტუტის მონიტორინგისა და პრემიალურ ნაწილს, რომელზეც მითითებული იყო, რომ კარგი იქნებოდა თუ დაასტიმულირებდნენ კომპონენტების ნაწილში, მისი მოსაზრებით ექპერტების დიდი ნაწილი არ გაცნობია შიდა ნორმატიულ აქტებს, რადგან მას იშვიათად უნახავს უნივერსიტეტი,

რომელსაც ასეთი, გაწერილი პრემიალური ნაწილი ჰქონდა, რომლის მიხედვითაც webometrics და არა მარტო, თუ ნახავენ როგორი შთამბეჭდავია web of science-სა და elsevier-ის ბაზებში არსებულ ჟურნალებში კოეფიციენტები და გამოქვეყნებები ფუნდამენტური კვლევების ნაწილში, გამოყენებით კვლევებში მითითებული იყო, რომ დაწესებულებას ჰქონდა მეწარმეობის ცენტრიც, სადაც სტარტ აპების ნაწილს აფინანსებს და მნიშვნელოვანია, რომ ისინი კომერციალიზაციაში გადავიდეს. დაწესებულებას ჰქონდა ნორმატიული აქტი, სადაც დეტალურად იყო გაწერილი, როგორ იღებდა მეცნიერი პრემიალურ ნაწილს პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში, შეეძლო გამოეყენებინა არა მხოლოდ 1500 ლარამდე, არამედ, კოეფიციენტების მიხედვით დამკვიდრებული იყო ყველაზე მაღალი, ევროპული სტანდარტი, გაკეთებული იყო მათემატიკური ფორმულაა, თუ როგორ უნდა გამოეანგარიშებინა კონკრეტული პუბლიკაციის დაფინანსების ოდენობა შესაბამისი მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალთან მიმართებაში.

დაწესებულების აკრედიტაციის განყოფილების უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით რამდენიმე რეკომენდაცია იყო დუბლირებული, ამასთანავე მას სურდა გამოეკვეთა ის ძირითადი საკითხები, რომლებსაც არ ეთანხმებოდა, იყო აშკარა უზუსტობა ექსპერტების მხრიდან იმ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ხარისხის კონტროლის საკითხს ეხებოდა. მისი ინფორმაციით საბჭოსთვის ცნობილი იყო ის დოკუმენტაცია და ის დაინტერესებული პირები, ვინც უნდა მონაწილეობდნენ პროგრამების/სილაბუსების შეფასებაში და მეორე მხრივ, გარდა დოკუმენტებისა, ინტერვიუების დროს, ახსნეს, დაწესებულების წარმომადგენლებმა განუმარტეს მთლიანი პროცესი, თუ როგორ იყო დაგეგმილი, ბოლო ორი წელია, ახალი ცვლილებების შესაბამისად, უნივერსიტეტში შეიქმნა კოლექტიური ორგანო - პროგრამის განვითარების საბჭო, რომელშიც გარდა ფაკულტეტის დონეზე პროგრამის წარმომადგენლებისა, პროგრამის ხელმძღვანელების დახმარებით, ვინც უშუალოდ ამზადებდა პროგრამას, თავისი სილაბუსებით, არსებული პროგრამა, სილაბუსები და თანდართული დოკუმენტები მიდიოდა პროგრამის განვითარების საბჭოში, სადაც ყველა ის დაინტერესებული პირი შედიოდა პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე, ფაკულტეტის, ცენტრალური ხარისხის წარმომადგენელი, მათ შორის ყველა დაინტერესებული პირი, ვინც დამატებით ექსპერტიზას აკეთებდა იმის თაობაზე, რაც ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელმა წარადგინა პროგრამის შექმნის პროცესში.

მათ შორის პერიოდულობის თვალსაზრისით, როდესაც პროგრამის განვითარების საბჭო შექნიდა პროგრამას და იტყოდა, რომ ეს პროგრამა იყო ისეთი, რომელიც შეესაბამებოდა, როგორც შიდა, ასევე გარე სტანდარტებს; შემდეგ შემოდიოდა მეორე, გარე, რგოლი, რომელიც ცენტრალური ხარისხის დონეზე არსებობდა, პროგრამის აკრედიტაციის საბჭო, რომელიც 2 წელიწადში ერთხელ აკეთებდა შიდა მონიტორინგს, მათ შორის გარე ექსპერტების ჩართვის ახალი მექანიზმი განავითარეს, ეს არის სხვა ადამიანი, რომელიც განსხვავებული, სხვა თვალით შეაფასებს პროგრამას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი წარდგენილი იყო დაწესებულების წარმომადგენლებს გული დაწყდათ, რომ ეს საკითხი არ აისახა დასკვნაში.

მან განაცხადა, რომ მეორე დეტალი, უკუკავშირი, მისი მოსაზრებით, ტექნიკური შეცდომა იყო თუ არა, მაგრამ 2.2 კომპონენტში დაწეული შეფასება, 2.2 კომპონენტის აღწერით ნაწილში ეწერა, რომ დაწესებულებას ნამდვილად ჰქონდა მექანიზმი, რაც დაადასტურა ყველა დაინტრესებულმა პირმა და ხორციელდებოდა, თუმცა დაწესებულება აღარ აკეთებდა დაინტერსებული პირების ინფორმირებას, თუ რა შეიცვალა მათი ჩართულობით სხვადასხვა სეგმენტში, პროგრამა, სილაბუსი თუ სხვა კომპონენტი. 3.1 კომპონენტში ეწერა ამის საპირისპირო, სადაც ეწერა, რომ დაინტერესებულ პირებთან იყო შეხვედრები (მაგ., დამსაქმებელი, კურსდამთავრებული და ა.შ.) და მათ დაადასტურეს, რომ მათი ჩართულობის შედეგად, ნამდვილად იციან რა ცვლილებები განხორციელდა, მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ დიდი უნივერსიტეტი იყო, მათ მოგვარებული ჰქონდათ, იმ თვალსაზრისით, რომ ჰქონდათ ელექტრონული კითხვარები, რადგან დიდ სეგმენტზე სურდათ გასვლა, და ასევე უკუკავშირიც ჰქონდათ ელექტრონული უშუალოდ მათი პლატფორმების მეშვეობით

აწვდიდნენ სტუდენტებს მათი ჩართულობით შეცვლილი საკითხების შესახებ ინფორმაციას, რომლებთან დაკავშირებითაც წარადგინეს მაგალითები ვიზიტის დროს და ნახეს თუ როგორ ხდებოდა უკუკავშირის მიწოდება.
მან განაცხადა, რომ მესამე ვარიანტი, მან დასძინა, რომ თვითონ იურისტია და ხარისხის ნაწილი გარდა კონცეპტუალური საკითხებისა, ფორმალურ-იურიდიულ საკითხსაც მოიცავდა. მან ყურადღება გაამხვილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ნახსენებ ხარისხის კულტურის შესახებ, მან განმარტა, რომ ავტორიზაციის სტანდარტი მოიცავდა აღწერილობას, თუ რას გულისხმობდა სტანდარტი და შეფასების კრიტერიუმები, რომელიც სამართლებრივად ასევე დამაკმაყოფილებელი ვარიანტი იყო, ამის მიღმა შესაძლებლობას აღარ იძლეოდა არსებული კანონმდებლობა, მინიმალურ დონეზე ეს იყო სტანდარტის კრიტერიუმები და იმიტომ, დაწესებულების წარმომადგენლებმა არაერთგზის უთხრეს, რომ ის, რასაც ისინი გარკვეულ ნაწილში დაწესებულებას სთხოვდნენ, არ შეესაბამებოდა იმას, რაც მათ უნდოდათ. ხარისხის კულტურის განვითარების შესახებ არგუმენტირებულ პოზიციაშიც დააფიქსირეს, თუ რას გულისხმობდნენ, შესაბამისად, როდესაც საუბრობდნენ აღნიშნულ საკითხზე, პირველ რიგში უნდა წარმოედგინათ ხარისხის განვითარების შესახებ კანონი, რომელიც ამობობდა, რომ შიდა მექანიზმების განსაზღვრა იყო უნივერსიტეტის დისკრეცია, ასევე არასწორი იყო და არ ეთანხმებოდნენ, რომ უნივერსიტეტი ხარისხის კონტროლზე იყო გადართული და არა განვითარებაზე, დაწესებულებას ჰყავდა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც განმავითარებელ აუდიტს აკეთებდა, იგი ზოგიერთ ნაწილში საერთოდ არ იყო დაკავშირებული პროგრამასთან და სილაბუსებს, ამ თვალსაზრისით არც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან იყო დაზუსტებული თუ რა არის ხარისხის კულტურა, მისი თქმით შესაძლებელი იყო დანარჩენ საკითხებზე საუბარი, კანონქვემდებარე აქტების, ავტორიზაციის სტანდარტის, უმაღლესი განათლების შესახებ კანონისა და სხვათა საფუძველზე. უნდა აეღოთ 2.2 კომპონენტი და მისი შეფასების კრიტერიუმები, რომელშიც ერთ ნაწილშიც კი არ იყო შეუსაბამობა, თუ არ იყო შეუსაბამობა შესაბამისად არ უნდა ყოფილიყო რეკომენდაცია და უნდა ყოფილიყო შეფასება. მათ მიაჩნდათ, რომ რეკომენდაციათა უმეტეს ნაწილს აშკარად ჰქონდა რჩევის ხასიათი და ის არ მოდიოდა წინააღმდეგობაში ავტორიზაციის სტანდარტებთან, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო აქტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა განაცხადა, რომ სავარაუდოდ, უნივერსიტეტის მიერ გაცემული პასუხები ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით იმიტომ ეხებოდა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაც სწორედ ამ საკითხს შეეხებოდა. მან დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა გაეკეთებინათ განმარტება ხარისხის სამსახურის სხვა ასპექტებთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ, აღნიშნა, რომ კვალიფიკაციათა ეროვნული მოქმედი ჩარჩო, ბაკალავრიატის ანუ სწავლების მე-6 საფეხურზე გულისხმობდა სრული ზოგადი განათლების შემდგომი ზოგადი ფართო განათლების მიცემას, რაც, გულისხმობდა ცოდნას, რაც მოიცავდა თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკულ უნარებში კვლევითი კომპონენტიც მოიაზრებოდა და ამ საფეხურზე საუბარი იყო სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებასა და განმარტებაზე. ამდენად, საბჭოს წევრმა, დამატებითი კომენტარის გაკეთება ისურვა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან სწორედ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ბორის ლეჟავამ დასვა დამაზუსტებელი კითხვა იმ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც, გულისხმობდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულის შესახებ დასკვნაში

როგორც პირველ, ისე მესამე სტანდარტთან დაკავშირებით ეწერა, ასევე დოკუმენტაციაც წარმოდგენილი იყო და იკითხა, თუ, რამ გამოიწვია ექსპერტების მხრიდან მსგავსი შეფასება და რა როლი ჰქონდა ამ თვალსაზრისით ჩატარებულ ინტერვიუებს.
საბჭოს წევრმა, მარინა ქორიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ჩატარებული SWOT ანალიზი და მათ იდენტიფიცირებული ჰქონდათ 20 ძლიერი, არაერთი სუსტი მხარე/შესაძლებლობა და 4 საფრთხე, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დადებითადაა იყო შეფასებული, თუმცა, როგორც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დასკვნაში იყო აღნიშნული, შესაძლებელი იყო ამ შედეგების უფრო მეტად გამოყენება. მან იკითხა თუ, როგორ გეგმავს სამომავლოდ დაწესებულება ამ სუსტი მხარეების გაუმჯობესებასა და მოსალოდნელი საფრთხეების დაძლევას.
საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ დასვა შეკითხვა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და პერიოდულ შემოწმებასთან დაკავშირებით, ვინაიდან მოცემული საკითხი ექსპერტების საბოლოო დასკვნაში პრობლემურად იყო წარმოდგენილი. ის დაინტერესდა რა პერიოდულობითა და ფორმით ხორციელდება ეს პროცესი დაწესებულებაში. მან ასევე იკითხა დაწესებულების მიმართ, რამდენად არსებობდა რაიმე ტიპის პროექტი ან შემაჯამებელი პროექტი საბაკალავრო პროგრამებში წარმოდგენილი. საბჭოს წევრი დაინტერესდა ხომ არ დაინახეს ექსპერტებმა რაიმე ისეთი, რაც, ე.წ „ზემოდან-ქვემოთ“ მართვის სტრუქტურასა და სტილს ხელი შეეშალა საუნივერსიტეტო მიზნების სწავლებაში.
საბჭოს წევრი, ეკა ეკალაძე, დაინტერესდა მედიცინის პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შინაარსით და ექსპერტების მიმართ იკითხა, რომ ფაქტობრივად მთელი დასკვნის განმავლობაში მედიცინის პროგრამა ფიგურირებდა, მაგ., „განხორციელდეს მიზანმიმართული სწავლება უნარ-ჩვევებსა და პრაქტიკულ სწავლებაში, მედიცინის მიმართულებით“, „ადამიანური პერსონალის ტრენინგი სამედიცინო მიმართულებით“ და სხვა, საბჭოს წევრი დაინტერესდა ნიშნავდა თუ არა იმას, რომ იყო კითხვის ნიშანი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების თაობაზე მედიცინის პროგრამაში, რასაც დარგობრივი ავალდებულებდა უნივერსიტეტს. ასევე დასკვნაში ეწერა „მედიცინის პროგრამა საჭიროებს განახლებას, რათა ასახოს მედიცინის განახლებული სტანდარტები“, საბჭოს წევრმა ასევე იკითხა, ხომ არ ნიშნავდა ეს რეკომენდაცია, რომ ამ მიმართულებით კითხვის ნიშანია და ის საჭიროებდა განახლებას, რადგან, სტანდარტი ამ თვალსაზრისით, პირდაპირ ავალდებულებს დაწესებულებას, რომ ეს უნდა სრულდებოდეს.
საბჭოს წევრმა, გოდერძი ბუჩაშვილმა, აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა ექსპერტების მხრიდან უფრო მეტად დეტალური ახსნა იმის შესახებ, თუ რას გულისხმობენ იმ ფრაზაში, რომ უნივერსიტეტში უფრო მეტად ხარისხის კონტროლი მიმდინარეობდა, ვიდრე მისი განვითარება.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ, აღნიშნა, რომ ვერ მოისმინა მკაფიო პასუხი იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა იყოს ასახული კვლევა დაწესებულების მისიის ნაწილში, მით უფრო მაშინ, როდესაც ექსპერტები ამაზე საკმაოდ ჩამოყალიბებულად მიანიშნებდნენ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს პასუხი გაეცათ საბჭოს წევრების შეკითხვებისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნანი ყავლაშვილმა, აღნიშნა, რომ მედიცინის პროგრამის მიმართულებით არსებული შენიშვნები ფოკუსირებული იყო სწავლებისა და შეფასების მეთოდებზე, კერძოდ, ხდებოდა დუბლირება მოცემული მეთოდებისა და ჩატარებული ინტერვიუებისა და ადგილზე დათვალიერების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მითითებული სწავლებისა და შეფასების მეთოდები პრაქტიკულად სრულად არ რეალიზდებოდა, არადა, თანამედროვე სტანდარტებით, ეს ასე არ უნდა ყოფილიყო. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს მოდიფიცირებული მულაჟები, კარგი ანატომიური ლაბორატორია, ის რაც სტომატოლოგიურ კლინიკაში კარგი იყო პრაქტიკული უნარებისთვის, საშუალება, რომ სტუდენტს თავისით ეკეთებინა ყველაფერი, თუმცა სამედიცინო თვალსაზრისით, მთავარი შენიშვნა ისა იყო, რომ პრაქტიკული უნარების ათვისების გარდა,

რაც, შეიძლება იყოს ლუმბალური პუნქცია ინტრავენური ინფუზია და სხვა, აუცილებელია, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ანამნეზის შეკრება და პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია. მისი ხედვით, აუცილებელი იყო სწორედ ამ საკითხზე ყოფილიყო მეტი კონცენტრირება, რაც, მათ ვერც სილაბუსებში დაინახეს. მისი თქმით, მნიშვნელოვანი პრობლემაა პაციენტებთან კონტაქტი, რაც პრობლემური იყო, რადგან სტუდენტების უმრავლესობამ არ იცოდა ქართული ენა და ამდენად, ეს საკითხი, ფაქტობრივად, შეფასებით ნაწილში ვერ ხორციელდებოდა. ასევე მისი თქმით, სწორედ ამიტომ გაიცა ერთ-ერთი რეკომენდაცია, ქართული ენის სწავლების გაძლიერების შესახებ, ვინაიდან ბაზისური კითხვების დასმა მაინც მოხერხდეს. მისი თქმით, შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, პრობლემა ის იყო, რომ მართალია დაწესებულებას ეწერა, რომ ატარებდა OSCE-ს ტიპის გამოცდასა და შეფასებას, მაგრამ რეალურად, ეს უფრო პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირება იყო, ვიდრე პაციენტთან ურთიერთობის სწავლება და შეფასება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გადამზადების საკითხი წამოიჭრა ჯერ კიდევ თვითშეფასების გაცნობისას, ვინაიდან იქ არ არის გაწერილი, რომელი პედაგოგი როდის უნდა გადამზადებულიყო და ამ მხრივ, შეუსაბამობა დაფიქსირდა, რადგან გადამზადების გარეშე, წარმოუდგენელი იყო OSCE-ს გამოცდის ჩატარება. მან განაცხადა, რომ სტუდენტები სწავლების დასაწყისში არ იცნობდნენ თუ რა მოეთხოვებოდათ და რა იყო მათი მიზანი კონკრეტული როტაციის ბოლოს, რა მოლოდინი უნდა ჰქონოდათ და როგორ უნდა მომხდარიყო მათი შეფასება, ზუსტი კრიტერიუმები არც სილაბუსში იყო გაწერილი და არც სტუდენტმა იცოდა, შესაბამისად ჩამოყალიბდა, როგორც დასახვეწი/გასაუმჯობესებელი მხარე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, თეა გერგედავა, შეეხო დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საკითხის, მან აღნიშნა, რომ მრავალი ინტერვიუს განმავლობაში გამოჩნდა, რომ მიუხედავად ფორმალური ჩართულობისა, თითქმის ვერავინ დაასახელა კონკრეტული მაგალითი ან შემთხვევა, თუ რა გავლენა მოუხდენია კონკრეტულ დაინტერესებულ მხარეს საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბებასა ან რევიზიაზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნიკოლოზ ყაველაშვილმა, აღნიშნა, რომ კვლევის კომპონენტში სიღრმისეული ანალიზის განხორციელება რთული იყო, თუმცა, ვერ იზიარებდა მოსაზრებას, რომ უცხოელ ექსპერტებს ქართულ კანონმდებლობაში უნდა ემეცადინათ და ქართული ენა ესწავლათ. მისი ხედვით, უცხოელების ამ პროცესში ჩართულობის უპირატესობა სწორედ განსხვავებული პერსპექტივაა და ამ თვალსაზრისით, შესაძლებელი იყო გასაგებიც კი ყოფილიყო უნივერსიტეტის პოზიცია და, შეიძლებოდა, ეს მართლაც ყოფილიყო თარგმანში დაკარგვა, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ ძალიან რთული იყო ონლაინ რეჟიმში ასეთი ტიპის ვიზიტის ჩატარება, მაინც მნიშვნელოვანი იყო მათი ხედვების მიღება. მან აღნიშნა, რომ თუნდაც ხარისხის კულტურის აღქმა სულ სხვა კულტურული ფენომენი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ექსპერტები ცდილობდნენ ეთარგმნათ და აეხსნათ დაწესებულების პოზიცია უცხოელი ექსპერტებისთვის, ფაქტია, რომ მიცემული რეკომენდაცია დაწესებულებამ შენიშვნად მიიღო. მან ასევე მოიყვანა მაგალითი, რომ დაწესებულების ერთ-ერთი წარმომადგენელი კატეგორიულად უმტკიცებდა ექსპერტს, რომ ბაკალავრიატის სტუდენტები კვლევასთან არაფერ კავშირში არა იყო და თითქოს ისინი არ უნდა გაკარებოდნენ ამ საკითხს, უცხოელმა ექსპერტმა კი, ვერ გაიაზრა და ხისტად აღიქვა ეს საკითხი. მისი შეფასებით, უცხოელი ექსპერტები ძალიან დიდი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე პიროვნებები იყვნენ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ვახტანგ თებიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან ყურადღება არ გამახვილებულა იმ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა სამედიცინო მიმართულებით კვლევის გაძლიერებას. ის ასევე შეეხო დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საკითხს, მან აღნიშნა, რომ მიუხედავად პროცესების კარგად გაწერისა, მაინც არ ჩანდა როგორი იყო მათი ჩართულობა. მისი შეფასებით, შეიძლებოდა ჩანდა აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების აქტიური მონაწილეობა, თუმცა, იგივეს თქმა რთულია, სტუდენტებსა და მოწვეულ პერსონალზე. ის ასევე შეეხო 2.2 და 3.1 კომპონენტებში არსებულ

საკითხს. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ 2.2 კომპონენტი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს შეეხო და დასკვნაში აღინიშნა, რომ ზოგიერთი ინტერვიუს შედეგი საკმაოდ დიდი იმედგაცრუების მიზეზი იყო. მისი ხედვით, თუ 3.1 კომპონენტში არსებული ტექსტი მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამებს ეხებოდა და არ დასმულა დაინტერესებული პირების ჩართულობის პრობლემა, 2.2 კომპონენტში საუბარი იყო მთლიანად ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სხვა მექანიზმებზე, რაც, აშკარად პრობლემური იყო, მათ შორის სტუდენტებისა და საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობის მიმართულებით.
დაწესებულების აკრედიტაციის განყოფილების უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტის მიერ გაჟღერებული ბოლო დეტალი არ იყო დაკონკრეტებული დასკვნაში, თუმცა უნდა ყოფილიყო დაკონკრეტებული, რადგან ერთიდაიგივე მექანიზმები იყო 2.2 და 3.1 კომპონენტში.
ექსპერტმა, ნანი ყავლაშვილმა ჩართულობასთან დაკავშირებით განცხადა, რომ აკადემიური პერსონალი და ზოგიერთი დამსაქმებელი ნამდვილად იყვნენ ჩართული პროგრამის განვითარებასა და ხარისხის კონტროლშიც, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა სტუდენტებთან ინტერვიუში, განსაკუთრებით უცხოენოვან სტუდენტებთან, რომ ისინი იყვნენ ჩართულნი აღნიშნულ პროცესში, თუნდაც პროგრამის განვითარებაში და ასევე მოწვეული პერსონალიდან ვერ დაინახეს რაიმე ტიპის კონტრიბუცია ან ხარისხის შეფასებაში, ან პროგრამის ცვლილებაში, ეს არ იყო კარგად დანახული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს პასუხი გაეცათ საბჭოს წევრების შეკითხვებისთვის.
დაწესებულების რექტორმა, კონსტანტინე თოფურიამ SWOT ანალიზის გამოყენებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას ჩამოთვლილი ჰქონდა მთელი რიგი სისუსტეები/საფრთხეები და შეიძლება არ გამოჩენილიყო, თუ სად იქნა გამოყენებული სტრატეგიულ გეგმაში, რადგან არ დაწერილა სტრატეგიული გეგმისა და ვინმეს შემოწმებისთვის, სისუსტეებში ეწერათ, რომ მსოფლიო ავტორიტეტულ საუნივერსიტეტო რეიტინგში 1200-ის მიღმა იყვნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ Times და QS არ აფასებდნენ, მათ შორის არ იყვნენ მოწინავე პოზიციაზე რეგიონული მასშტაბითაც, მისი თქმით სტრატეგიულ გეგმაში იყო მთელი რიგი მიზნები, მაგ., როგორ ფასდება უნივერსიტეტის ხარისხი, მისი სამეცნიერო აქტივობით, პროგრამების ხარისხითა და ა.შ. უნივერსიტეტმა საკმაოდ დიდი ინვესტიცია განახორციელა კვლევით საქმიანობაში, ფაქტობრივად ყოველწლიურად აორმაგებს თავის შედეგს, 2020 წელს იყო 2-ჯერ მეტი პუბლიკაცია Scopus-ისა და Elsevier-ის ბაზებში ვიდრე წინა წელს, 2021 წლის რამდენიმე თვეში უფრო მეტი იყო ვიდრე 2020 წელს, რაც რა თქმა უნდა აისახებოდა საუნივერსიტეტო რეიტინგზე და მისი რეიტინგი ყოველსემესტრულად უმჯობესდება და ვინაიდან ეს საუკეთესო კერძო უნივერსიტეტი იყო კერძო მიმართულებით Webometrics-ის მიხედვით, რაც შემთხვევით არ მომხდარა, მიმდინარეობდა მუშაობა ამ მიმართულებით, რაც სტრატეგიული გეგმითა და SWOT ანალიზის გათვალისწინებით ხდებოდა. ის, რომ უნივერსიტეტი ცდილობდა პროგრამებისთვის გაეტარებინა საერთაშორისო აკრედიტაცია, ესეც ამისთვის კეთდებოდა ABET - საინჟინრო და ტექნიკური მიმართულებით, SIMA - ბიზნესში და სხვა, ყველა ეს საერთაშორისო აკრედიტაცია სწორედ ამ კუთხით კეთდებოდა. საქართველოს უნივერსიტეტის გუნდები მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონკურსებზე და რამდენიმე წლის წინ საქართველოს ისტორიაში პირველად იყო, რომ ქართულმა კლუბმა, სამართლის მიმართულებით მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა და აჯობა ისეთ უნივერსიტეტებს, როგორებიცაა ჰარვარდს, ბოსტონისა და სხვა უნივერსიტეტებს.
დაწესებულებას სისუსტეებში ეწერა სტუდენტური საცხოვრებლის არ ქონა, რადგან ბევრი საერთაშორისო სტუდენტი ჰყავდათ, ინფრასტრუქტურისა და არსებულ მისამართზე განვითარების შეუძლებლობა, რადგან ქალაქის ცენტრში იყვნენ, ამ ყველაფერზე სტრატეგიულ გეგმაში იყო პასუხი გაცემული, კონკრეტული მიზნები/ქვემიზნები და ამოცანები იყო

გაწერილი, სტრატეგიულ გეგმაში თავიდან იყო SWOT და PEST ანალიზები, შემდეგ იყო გაკეთებული სტრატეგიული მიზნები, ქვემიზნები ამოცანები და ა.შ. სტრატეგიული მიზნები თავისთავად დაეფუძნა აღნიშნულ ანალიზს.
მისი თქმით, მას არ გაუჟღერებია, რომ მისიაში არ უნდა ეწეროს კვლევა და განათლება, რადგან მან განაცხადა, რომ განსახილველი დაწესებულების მისია ასე იწყებოდა, „ჩვენი საქმიანობაა ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება“, რაც მისიაში ისედაც ეწერა და ამიტომ იყო დაწესებულების წარმომადგენლებისთვის გაუგებარი თუ რას ითხოვდა ექსპერტთა ჯგუფი,
ბაკალავრიატში კვლევასთან დაკავშირებით, მისი თქმით იყო საუბარი, რომ დაწესებულებას ჰქონდა ხისტი პოზიცია და ბაკალავრებს კვლევასთან არ უშვებდნენ, რაც ასე არ ყოფილა.
ექსპერტმა, თეა გერგედავამ განაცხადა, რომ ესწრებოდა ყველაფერს, მათ შორის იმ შეხვედრასაც, რომელზე დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კანონით არ იყო გათვალისწინებული.
დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ მათი ბაკალავრები ჩართულნი იყვნენ კვლევებში, ყველა საბაკალავრო პროგრამა მოიცავდა მცირე დოზით, კვლევით პროექტს, ასევე მათი არქეოლოგიის პროგრამის ბაკალავრები ჩართულნი იყვნენ არქეოლოგიურ გათხრებზე და იქ ეწეოდნენ კვლევით საქმიანობას, ამასთანავე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ეწერა, რომ კვლევებს ბაკალავრიატის საფეხურზე აქვს ეპიზოდურობა, თითქოს არ ჩანდა, რომ სავალდებულო იყო ყველასთვის, ექსპერტი მოითხოვდა, რომ ყველა ბაკალავრისთვის სავალდებულო გამხდარიყო კვლევა და მაშინ მიუთითეს, რომ კანონმდებლობით ყველა ბაკალავრს კვლევა არ მოეთხოვებოდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მათი ბაკალავრები კვლევას არ აწარმოებდნენ გარკვეული დოზით, ექსპედიციაშიც ბაკალავრები იყვნენ, დაწესებულები მხრიდან არ დაფიქსირებულა ხისტი პოზიცია. დასკვნაშიც ეწერა, რომ სამეცნიერო კვლევა მიმდინარეობს და სტუდენტები იყვნენ ჩართულები სხვადასხვა საინჟინრო და კომპიუტერულ მიმართულებებით. ყველა პროგრამა ითვალისწინებს სემესტრულ ან საბაკალვრო ნაშრომს/პროექტს, რაც, ასევე კვლევის ნაწილია, ასევე ისწავლება მთელი რიგი საგნები რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, აკადემიური წერა და ა.შ., რაც სწორედ იმისთვის იყო, რომ საბაკალავრო მცირე დოზის ნაშრომი შეესრულებინათ.
სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ გადახედვა ხდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, რადგან მისი დამტკიცება ხდება ყოველწლიურად, ხდებოდა 2-3-ჯერ გადახედვაც, არ აქვთ წინასწარ გაწერილი თუ როდის უნდა გადაიხედოს, უფრო საჭიროებიდან გამომდინარე ხდება, თუმცა აუცილებელი იყო დეკემბრის ბოლოს გადახედვა, რადგან ახალ წელს ახალი სტრატეგიული გეგმით ხვდებოდნენ და საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება მოხდეს უფრო მეტად/ნაკლებად გეგმის გადახედვა. მაგ., როდესაც პანდემია დაიწყო, მაშინ რაღაცეები შეიცვალა, უფრო სამოქმედო გეგმის შეცვლა ხედებოდა, თუმცა სტრატეგიული გეგმისაც, რადგან, ინფრასტრუქტურული პროექტები და ა.შ., ერთი წლით გადაიწია.
სამედიცინო პროგრამებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ საქართველოს უნივერსიტეტს ჰქონდა აკრედიტებული პროგრამა სამედიცინო პროგრამა, რომელიც იმ მომენტისთვის, როდესაც აკრედიტაცია გაიარა ყველა სტანდარტს აკმაყოფილებდა, რაც 1 წლის თავზე უწვევდა რეაკრედიტაცია და მუშაობდა იმ მიმართულებით, რომ დაეკმაყოფილებინა WFME- ის ყველა სტანდარტი.
დაწესებულების აკრედიტაციის განყოფილების უფროსმა, არჩილმა ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ იმ დროისთვის, როდესაც აკრედიტაცია გაიარე სრულად შეესაბამებოდნენ აკრედიტაციის სტანდარტებს და მოქმედებდნენ იმ დარგობრივი მახასიათებლით, რომელიც განსაზღვრავდა და შესაბამისად მიიღეს აკრედიტაცია, ახალ დარგობრივ მახასიათებელთან მიმართებაში დაკმაყოფილებული ჰქონდათ მოთხოვნების დიდი წილი, თუმცა სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოების უშუალო ვალდებულება, რაც აკრედიტაციისთვის იქნებოდა მოთხოვნილი, შესაბამისი წარმოების ვადის დადგენისას, ამ ეტაპზე კი ყველაფერი თითქმის შესრულებული/იმპლემენტირებულია, მათ შორის ავტორიზაციისთვის იყო განსაზღვრული გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც უნდა შეესრულებინათ, რაც ასახული იყო. თუმცა

არცერთ ექსპერტის მიერ არ იყო ასახული, რომ პროგრამა არსებული დარგობრივის რომელიმე ნაწილს არღვევდა. მათი ხედვით საუბარი არი იყო იმაზე, რომ თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდოლოგია არ იყო ინტეგრირებული. მან განაცხადა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იყო დუბლირებული, რაც არ ნიშნავდა არ ქონას, მეორე ვარიანტი კი იყო, რომ არ სდებოდა სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით გარკვეული ტიპის ღონისძიებების განხორციელება, რაც ძალიან გაუკვირდა, მაგრამ შეიძლება ასახულიყო ორი მიზეზის გამო, განიხილებოდა ცენტრალურ დონეზე და იყო ისეთი საკითხები, რომლებიც ყველა ფაკულტეტისთვის მეთოდებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს მართავდნენ, რისი უშუალო შემოქმედი თვითონაც არის და ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში კითხვაზე - კონტროლის გარდა კიდევ რა კეთდება, დიახ აკეთებდნენ, თვითშეფასების დოკუმენტშიც გაწერილია, რომ Erasmus+-ის პროგრამის ფარგლებში მიიღეს დიდი გამოცდილება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თვალსაზრისით და ყველა პროგრამის მიმართულებით სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების, რომელებიც აღნიშნულ მეთოდებში იყვნენ ძალიან გაწაფულები მოხდა ცოდნის გაზიარება ტრენინგების საშუალებით, არსებული მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის, სტუდენტთა საჭიროებაზე მიმართული სწავლება უნდა იყოს კარგად ჩამოყალიბებული ადგილობრივი პროფესორ-მასწავლებლებისათვის. ეს არაერთგზის განხორციელდება ხარისხის სამსახურმა, ამასთანავე პრობლემა შეიქმნა პანდემიის დროსაც და ამდენად, ვთქვით, რომ მომავალში აპირებდნენ, რომ გაეგრძელებინათ და იმ ცენტრის მიერ რომელიც ხარისხში მუშაობს არა მხოლოდ მეთოდოლოგიის ნაწილში.

მეორე საკითხი ისაა, რომ სამედიცინოს წარმომადენლებს სთხოვა წარმოედგინათ დოკუმენტურად, ბრიტანელი პროფესორის ჩატარებული, მათ შორის სპეციფიურად, რადგან მაგ., საკითხზე დაფუძნებული სწავლება შესაძლებელია ყოფილიყო გამოყენებული დასავლური პრაქტიკით, როგორც სამართალში ასევე სოციალური მეცნიერების სხვა დარგებში, მაგრამ შესაძლებელია სხვა დამახასიათებელი მიდგომა არსებობდეს მედიცინის პროგრამისათვის, ამისთვის კიდევ იყო სპეციალისტები წარმოდგენილი, რომლებმაც ამ მიმართულებით ასახეს, რადგან მისი ასახვა აღნიშნულზე არ მომხდარა, რაც არ იყო ფაქტის სწორად ასახვა.

დაწესებულების რექტორმა, კონსტანტინე თოფურიამ ჩართულობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეალურად, უნივერსიტეტში მუშაობდა 1000-ზე მეტი ადამიანი სხვადასხვა ფორმით, სტუდენტთა რაოდენობა 6000-ზე მეტი იყო, შესაბამისად შეუძლებელი იყო ყველა ადამიანის თანაბრად ჩართვა პროცესებში ზოგი მეტადა იყო ჩართული, ზოგიერთი - ნაკლებად. მეცნიერი, რომელიც იკვლევდა T ნაწილაკებს იმუნოლოგიაში იგი შეიძლება არ დაინტერესებულიყო როგორ აკეთებდა უნივერსიტეტი სტრატეგიულ გეგმას, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი როლი უკავია უნივერსიტეტში. ის ადამიანები, რომლებთანაც ინტერვიუ ჰქონდათ ექსპერტთა ჯგუფს, მოწვეულ პროფესორებსა და სტუდენტებზე იყო საუბარი, თუმცა ექსპერტები ამტკიცებდნენ, რომ, რაც შეეხება სკოლის წარმომადგენლებსა და ადმინისტრაციას ისინი ჩართულები იყვნენ, იგივე დამსაქმებლებსაც, მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებსაც ჰქონდათ გაცნობიერებული მახასიათებლები, მიზნები, შედეგები, სტრატეგიები, დოკუმენტები, თუმცა ვერ ხედავდნენ თავიანთ როლს. რაც არ იყო გასაკვირი, რადგან ისინი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იყვნენ ათასობით სტუდენტიდან, ათასი პროფესორიდან და უამრავი დამსაქმებლიდან შერჩეული და ცხადი იყო, რომ ყველა მათგანი ვერ იქნებოდა თანაბრად ჩართული, თუმცა მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტს ჰქონოდა მექანიზმები და უზრუნველყოფილი ყოფილიყო ზოგადად დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მაქსიმალური ინკლუზიურობა, რაც უნივერსიტეტს ჰქონდა, თვითშეფასებაშიც იყო გაწერილი და ექსპერტებიც არ უარყოფდნენ. არსებობდა მექანიზმები, თუ როგორ ხდებოდა დაინტერესებული მხარეების ინკლუზია მენეჯმენტში, დოკუმენტების შემუშავებაში, პროგრამების შემუშავებაში და ა.შ. ზოგადად სტუდენტები იყვნენ სხვადასხვა კოლეგიური

ორგანოს წევრები, მათ შორის სკოლების დონეზე, უნივერსიტეტის მართვის სხვა ორგანოებში, როგორიცაა რექტორის საბჭო, დიდი საბჭო და ა.შ. სტუდენტები სხვადასხვა დროებით კომისიასა და სხვა კომისიებში იყვნენ ჩართულნი უნივერსიტეტში სხვადასხვა კოლეგიურ ორგანოში, რა თქმა უნდა არა ყველა, მაგრამ არსებობდა მექანიზმი თუ როგორ ხდებოდა მათი შერჩევა, შიდა აკრედიტაციაზე გადიოდა პროგრამა და იქაც სტუდენტი იჯდა და ბევრგან იყო წარმოდგენილი და არსებობდა მექანიზმი, როგორ უნდა შერჩეულიყო, ასევე არსებობდა მექანიზმი, თუ როგორ უნდა მომხდარიყო დამსაქმებელთა ინკლუზია. სტრატეგიულ დოკუმენტებს ქმნიდნენ ყველა სამსახური თუ ერთეული ქმნიდა თავისას და შემდეგ ინტეგრირდებოდა. იყო 6 სკოლა და 30-მდე დეპარტამენტი, ბევრი ცენტრი და ინსტიტუტი და მინიმუმ სამსახურის უფროსი, რომ ყოფილიყო მიზნების შერჩევა/შემუშავებისას და ხარისხის ორიენტირების დაგეგმვაში თანამშრომელი ჩართული მინიმუმ გამოდიოდა 100 ადამიანი, რომელიც ჩართული იყო სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა დოკუმენტაციის შემუშავებაში ანუ უნივერსიტეტს გააჩნდა მაქსიმალური ინკლუზიის მექანიზმი და ყველა ვერასდროს იქნებოდა ჩართული.

დაწესებულების აკრედიტაციის განყოფილების უფროსი, არჩილ ჯანგირაშვილმა განახადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა არ იცოდნენ, როდესაც დასკვნის პროექტი მიიღეს, მაშინ გაიგეს, თუ რა იყო დუბლინის დესკრიპტორი, რაც ზუსტად იმას იმეორებდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, რომელიც იყო ახალი დოკუმენტი, იქამდეც ზუსტად იგივე მოთხოვნა იყო და დუბლინის დესკრიპტორის ვალდებულება ბაკალავრიატის იმ მოთხოვნებთან მიმართებით ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩომდეც ჰქონდათ, როდესაც გახდნენ კომუნიკეების წევრები, შესაბამისად ამ თვალსაზრისით, რომ სცოდნოდა რას გულისხმობდნენ, გადაუშლიდნენ და აჩვენებდნენ, იქ იყო საუბარი მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის, რომელიც იყო კვლევის წინაპირობა, რაც საფეხურეობრივად უნდა ისწავლოს ადამიანმა. ამ თვალსაზრისით იყო საუბარი დაწესებულების წარმომადგენლებმა უთხრეს ნაშრომები, რომლებიც ყველა ნაწილში იყო მოთხოვნილი, რაც ერთ-ერთი შუალედური შეფასებაა მათთან, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომები, რომლებიც გარკვეულწილად მონაცემების შეგროვებას კი არ გულისხმობდა, არამდე ცდილობდნენ სხვა მეთოდების გამოყენება შეძლებოდა სტუდენტს, მაგ., რაოდენობრივი კვლევის მეთოდები თვისებრივი კვლევის მეთოდები და სხვადასხვა მეთოდები, ამასაც ასწავლიდნენ და თუკი საუბარი იყო ტიპურ კვლევაზე ეს იყო ახალი სიახლის შექმნა, სწორედ ამაზე არ დაეთანხმა დაწესებულებას და ამას კანონი არ ავალდებულებდა. მან დასძინა, რომ ბოლო პერიოდში 50-მა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია.

2.2 და 3.1 კომპონენტი არ იყო შეცდომა, ეს იყო განსხვავებული აზრი ერთსა და იმავე საკითხზე, დაწესებულების წარმომადგენლები პასუხებს სცემდენენ რეკომენდაციებს, რადგან ძირითადად ყურადღება გამახვილებული იყო პროგრამის ხარისხის განვითარების მიმართულებაზე, სადაც ზუსტად იგივე მექანიზმები ჰქონდათ და ამ ნაწილში საუბარი იყო იმაზე, რომ ყველა დაინტერესებული პირი მონაწილეობას იღებდა, თუმცა ვერ იღებდნენ უკუკავშირს, რაც 3.1 კომპონენტში მექანიზმებზეა საუბარი, იგივე ხარისხის კონტროლის მექანიზმები, თუ დაადასტურა, რომელიმე პირმა, რომ მისი ჩართულობით პროგრამაში/სილაბუსში ან პროგრამის რომელიმე ასპექტში არსებულ კომპონენტში მან იცოდა თუ რა გავლენა ჰქონდა მის მონაწილეობას ეს უკვე ნიშნავდა, რომ ჰქონდა ინფორმაცია/უკუკავშირი დაწესებულებისგან, ეს ხდებოდა ელექტრონულად, რადგან უამრავი დაინტერესებული პირი იყო და სადოქტოროზე პირისპირა ხორციელდება, მაგრამ ასობით სტუდენტი და ასობით აკადემიურ/მოწვეულ პერსონასა და დამსაქმებლებს, ელექტრონულად აკეთებენ და ოქმის სახითაც უგზავნიდნენ რაც, შეეხებოდა, განსხვავებულს, მეორე მხრივ, ეს თვითშეფასებაში არა იყო ასახული, რომ უნივერსიტეტში მუშაობდა MyUG, რაც იყო მათი პლატფორმა, წარდგენილი იყო 3 წლის გეგმა და ყოველ წელს სამსახურების გეგმა იყო წარდგენილი და თითოეული წევრი ჩაშლილია, მიზნების ქვემიზნების სახით, თუ როგორ უნდა იყო მიღწეულიყო გეგმა ერთი წლის განმავლობაში, ეს იყო ელექტრონული ფორმატის. ცენტრალურ ხარისხს ჰქონდა ბერკეტი, რომლითაც ამოწმებდნენ, ნახულობდა უნივერსიტეტის

შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რამდენად შესაბამისად გადიოდნენ მიზნებზე, თუ იყო გარკვეული ტიპის პრობლემები, დროში ვერ ეტევა და ვერ მიიღწევა, ამისათვის მიმდინარეობს მიზეზის ძიება, თუ რატომ არ მოხდა, რადგან დიდი უნივერსიტეტია ბევრი სტუდენტით და ბევრჯერ ყოფილა გაუგებრობა ფუნქციური თვალსაზრისით, რომელისთვისაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გაუკეთებია მედიაცია. მათ დაუკავშირებიათ, რადგან კონცეპტუალურად ვერ მისულან, და გაუგრძელებიათ შესაბამისი კომუნიკაცია. მაგ., ბიბლიოთეკაში ელექტრონულადაა პროგრემები და სილაბუსები, დაფისირებული იყო ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზაში, რათა ლექტორს შეძლებოდა მისი მარტივად გადაეტანა სასწავლო ლიტერატურა სილაბუსში. იყო შემთხვევა, რომ ვერ დაკავშირებულან, თუ როგორ შეიძლებოდა რაღაც კომპონენტის გაკეთება, დაიწერა ახალი მარტვი კიდი
რაც გულისხმობდა, რომ ელექტრონულად ივსებოდა, როგორც თემატიკები, ასევე იდა თემატიკებიც სწორედ ამ რკუთხით ივსება, ბიბლიოთეკის ბაბზაში, რათა ეს შეძლოს, მომხდარა აღნიშნულის შესახებ. ვერ დაკავშირებულა, ახალი მიმართულებით, ახალი კოდი დაიწერა და მიმდინარეობს აღნიშნული. ეს საკითხები იყო განხილული, გაშლილი, არა მხოლოდ სილაბუსის ნაწილზე, არავითარი დამსჯელობითი ფუნქცია არ ჰქონდა, მისცეს რეკომენდაციები და ახალი/უფრო მარტივი კოდი დაიწერა, რამაც კიდევ ერთხელ აღმოფხვრაა აღნიშნული პრობლემა და პროცედურა ისევ მიმდინარეობდა. მან განაცხადა, რომ ასეთი სკითხები იყო გაშლილი, მათ შორის ხარისხის, არა მარტო პროგრამის სილაბუსის შემოწმების, კონტროლის, ასევე სტრუქტურული ერთეულების საკითხი, რომელთან მიმართებაშიც არანაირი დამსჯელობითი ფუნქციას არ ითვალისწინებდა. მას ჰქონდა უფლება მიეცა რეკომენდაციები, რათა გაეგრძელებინა სვლა გაუმჯობესებისაკენ.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფში შედიოდა 7 წევრი და გაცემულია დაახლოებით 70 რეკომენდაცია, დაინტერესდა თუ რამდენ რეკომენდაციას დაეთანხმა დაწესებულება.
დაწესებულების რექტორმა, კონსტანტინე თოფურიამ განაცხადა, რომ რაოდენობრივად არ დაუთვლია, თუმცა ზოგიერთი რეკომენდაცია საინტერესოა, თუმცა ცუდია, რომ ისინი წარდგენილია, როგორც ხარვეზები, რაც მათ შეფასებას უმცირებდა.
დაწესებულების აკრედიტაციის განყოფილების უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ყველა რეკომენდაციაზე პასუხი არ ჰქონდა არგუმენტირებულ პოზიციაში, წერილობით პასუხში მითითებული იყო 12 რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება არ ეთანხმება.
დაწესებულების რექტორმა, კონსტანტინე თოფურიამ განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები რეკომენდაციებს უყურებენ, როგორც რეკომენდაციებს და არა ხარვეზებს.
ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ნანა უბილავამ განაცხადა, რომ 2019 წელს შემოსული/ამოქმედებული დარგობრივთან მიმართებით შესაბამისობის დადგენის მიზნით დიდი სამუშაო გასწია პროგრამამ და მისი განვითარების ფარგლებში, პირველ რიგში ეს იყო ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდებზე, რისი დოკუმენტაციაც გაგზავნილია, რაც ჩატარდა, არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზე, თვითონ სკოლა აგრძელებდა და ავტორიზაციის დროისთვის უკვე იყო მრავალმხრივი ტრენინგი, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების სწავლებისა და შეფასების მეთოდებში, დარგობრივთან შესაბამისობაში მოყვანის ტრენინგები. ამასთანავე, OSEC-თან დაკავშირებით პროგრამის ფარგლებში ისეთი საგანი, როგორიცაა კლინიკური უნარ-ჩვევები, პირველ, მეორე, მესამეში სადაც ხდებოდა არა კოგნიტური, არამედ ბიჰევიორული, ქცევით უნარების შეფასება ხდებოდა, სწორედ ეს არის უკვე დანერგილი და მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლიდან მოქმედებდა და პანდემია დაემთხვა ძალიან ბევრი შედეგი უკვე წარმოადგინეს ექსპერტებთან და თვითონ იყო ადგილზე, სადაც შედგა საუბარი ექსპერტთან და როგორც მან განაცხადა, გარკვეულწილად სწავლის მეთოდების სილაბუსში იყო თავმოყრილი და ცოტა გაუგებრობას, ბუნდოვანებას ბადებდა, იყო გაშიფრული რა, როგორ და რატომ იყო, ჩექლისტები,

კლინიკურში უნარ-ჩვევების შეფასება OSCE-ს სახით, ასევე უკვე დანერგილია სიმულაციური პაციენტი და გარდა ამისა ეს ყველაფერი დოკუმენტაციურად წარდგენილი იყო ვიზიტის დროს, ამიტომ მსგავსი ტიპის რეკომენდაცია დაწესებულების წარმომადგენლებისთვის გაუგებარი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 18:05 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 18:25 საათი
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტისთვის 6 წლით ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. ასევე, სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრა - 8000 სტუდენტით.
საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნაში არსებული შეფასება, მათ შორის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები.
კენჭისყრისშედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 2 1
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 562-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 563-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 103-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით, ერთი წელის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 8000-ით.

18:09 საათზე საბჭოს შემოუერთდა თამარ ზარანდია.

2. სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მ ონიტორინგთან
დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მარიამ ღამბაშიძემ განაცხადა, რომ შემოვიდა წერილი დაწესებულებაში, რომ ირღვეოდა პროცესები, აპელირება კეთდებოდა პროგრამის სისტემატიურ ცვლილებაზე და გარდა ამისა, თითქოს აკადემია არ იცავდა განათლების სფეროში მოქმედ სამართლებრივ რეგულაციებს, აღნიშნულთან დაკავშირებით აბსოლუტურად დეტალური ინფორმაცია თავისი დანართებით წარდგენილი იყო საბჭოს წინაშე, მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება მიიღო აკადემიურმა საბჭომ წარედგინა რიგი პროგრამები ცენტრში, მიიღეს აკრედიტაცია რიგ პროგრამებზე, აკრედიტაცია მიღების შემდეგ სწავლა დაიწყეს აღნიშნულ პროგრამებზე, თუმცა წელიწადნახევრის შემდეგ რიგ პროგრამებზე ანალიზის შედეგად შეიტანეს ცვლილებები, რაც აბსოლუტურად ბუნებრივი პროცესი იყო, რადგან თვითონ პროგრამის განვითარების განუყოფელი ნაწილი იყო პროგრამის შიდა და გარე შეფასება, თვითონ ცვლილებების შესახებ ეცნობა ცენტრს და დაწესებულებამ მიიღო წერილი ცვლილებების განხორციელების თაობაზე, დანარჩენი დეტალები, მაგ., აპელირება კეთდებოდა მობილობის შესახებ, რაც რა თქმა უნდა ყველანაირი წესის დაცვით ხორციელდებოდა, პირველი უნიფიცირებული სემესტრის შემდგომ, ეხებოდა სისტემატიური ცვლილებებს, მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც პროგრამებმა განიცადა იყო „საერთო საჯარისო მართვის“ თავისუფალი კრედიტის გადაადგილება სემესტრი, ამჟამად მეშვიდე დაწესებულება მეშვიდე და მერვე სემესტრში ახორციელებდა აღნიშნულ კომპონენტს, რაც იყო დაწესებულების ავტონომიურობის საკითხი და გარდა ამისა ცვლილების განხორციელებამდე დაწესებულებამ აცნობა ცენტრს და მათგან მიიღეს პასუხი დაწესებულების ავტონომიის თაობაზე, ყველა დანარჩენი პროცედურა ხორციელდებოდა წესისა და კანონის მიხედვით. რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესს, ესეც რეგულირდებოდა შიდამარეგულირებელი აქტებით, გარდა ამისა მოქმედებდნენ კანონმდებლობის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 18:30 წუთი
საბჭოს სხდომა განახლდა: 18:35 წუთი

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 18:40 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით